ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სხდომის და

საკითხების საჯარო განხილვის

ოქმი N 5

23 იანვარი, 2026 წელი ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი #2

12:00 სთ

კომისიის სხდომას უძღვებოდა სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე ლევან აბაშიძე

სხდომას ესწრებოდნენ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის წევრები:

ვალერიან პაპუაშვილი

მიხეილ რეხვიაშვილი

ქეთევან ჭავჭანიძე

ბექა ოდიშარია

ნოდარ ბოკერია

ნიკოლოზ ჭუჭულაშვილი

სხდომას ასევე ესწრებოდნენ დაინტერესებული პირები:

გიორგი ჭიკაიძე

ანდრო სოლოღაშვილი

გელა ქართველიშვილი

გიორგი ტაბატაძე

აკაკი ბერიძე

სხდომა გახსნა კომისიის თავმჯდომარემ ლევან აბაშიძემ. მან დაადასტურა კვორუმი და კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, დავით სარაჯიშვილის ქუჩისთვის **დავით სარაჯიშვილის გამზირის** სახელის მინიჭების შესახებ
2. ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, გელა ოჩიაურის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ერთი ჩიხისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის, **გურამ სოლოღაშვილის** სახელის მინიჭების შესახებ
3. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, აბუსერიძე ტბელის ქუჩისთვის და სახალხოს III ჩიხისთვის **ტბელ აბუსერისძის ქუჩის** სახელის მინიჭების შესახებ
4. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ჰოსპიტლის შესახვევისთვის **ჰოსპიტლის ქუჩის** სახელის მინიჭების შესახებ
5. ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ე.წ. მუხიანი 2-ის დასახლებაში, ქედის ქუჩის გავრცელების არეალის დაზუსტების და ქედის ქუჩის მონაკვეთისთვის **ხანძთის I ჩიხის** სახელის მინიჭების შესახებ
6. ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ე.წ. მუხიანი 2-ის დასახლებაში, საირმის II შესახვევის გავრცელების არეალის კორექტირების შესახებ.
7. ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, სოფელ გლდანში, 26 მაისის ქუჩასთან, თბილისის შემოსავლელ გზატკეცილზე არსებული ხიდის ქვედა დონეზე მდებარე უსახელო გასასვლელისთვის **26 მაისის I გასასვლელის** სახელის მინიჭების შესახებ
8. ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, რეზო გაბაშვილის ქუჩასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის **რეზო გაბაშვილის I ჩიხის** სახელის მინიჭების შესახებ.

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარემ ლევან აბაშიძემ დამსწრე საზოგადოებასთან ერთად დღის წესრიგით წარმოდგენილი თითოეული საკითხი განიხილა.

1. **ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, დავით სარაჯიშვილის ქუჩისთვის დავით სარაჯიშვილის გამზირის სახელის მინიჭების შესახებ**

მოისმინეს: კომისიის სხდომაზე გლდანის რაიონში, დავით სარაჯიშვილის ქუჩისთვის დავთ სარაჯიშვილის გამზირის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით იმსჯელეს. ლევან აბაშიძემ აღნიშნა, რომ ხსენებულ ქუჩაზე, სხვადასხვა პერიოდის აბრებზე ობიექტები დატანილია როგორც ქუჩის, ასევე გამზირის სახელწოდებით. გეოგრაფიული ობიექტის პარამეტრებისა და გავრცელების არეალის გათვალისწინებით, საჭიროა დავით სარაჯიშვილის ქუჩას განესაზღვროს მართებული და შესაბამისი ობიექტის ტიპი და უნდა ეწოდოს დავით სარაჯიშვილის გამზირი.

კომისიის წევრებმა საკითხს მხარი ერთხმად დაუჭირეს.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხი.

მომხრე - შვიდი

წინააღმდეგი - არცერთი

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: გლდანის რაიონში, დავით სარაჯიშვილის ქუჩას მიენიჭოს დავით სარაჯიშვილის გამზირის სახელი.

2. **ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, გელა ოჩიაურის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ერთი ჩიხისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის, გურამ სოლოღაშვილის სახელის მინიჭების შესახებ**

მოისმინეს: ლევან აბაშიძის ინფორმაციით, 2025 წლის სექტემბრის თვეში კომისიის ინიციატივით გლდანის რაიონში არსებული უსახელო გეოგრაფიულ ობიექტებს აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლების სახელები მიენიჭა.

ვინაიდან უსახელო ქუჩა და მასთან არსებული ჩიხი მდებარეობს სექტემბრის თვეში სახელდებული ქუჩების მიმდებარედ, კერძოდ, გელა ოჩიაურის ქუჩასთან, მიზანშეწონილია ქუჩას ასევე აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის გურამ სოლოღაშვილის სახელი ეწოდოს.

აზრი გამოთქვეს: კომისიის სხდომაზე, რომელსაც გურამ სოლოღაშვილის თანამებრძოლი, გელა ქართველიშვილი ესწრებოდა, სამშობლოს ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლი გმირების თავდადებაზე ისაუბრეს.

ლევან აბაშიძემ აღნიშნა, რომ კომისია გააგრძელებს დედაქალაქში არსებული გეოგრაფიული ობიექტებისთვის გმირების სახელების მინიჭების ტრადიციას, რაც დედაქალაქის ქუჩებში მათ სახელებს დაამკვიდრებს. სახელდების პროცესში ლევან აბაშიძემ სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის ჩართულობაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ სამსახურის ინფორმაციით, გურამ დავითის ძე სოლოღაშვილი დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენით.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხი.

მომხრე - შვიდი

წინააღმდეგი - არცერთი

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: გლდანის რაიონში, გელა ოჩიაურის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას და მასთან არსებულ ერთ ჩიხს მიენიჭოს აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის, გურამ სოლოღაშვილის სახელი.

3. **ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, აბუსერიძე ტბელის ქუჩისთვის და სახალხოს III ჩიხისთვის ტბელ აბუსერისძის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ**

მოისმინეს: ლევან აბაშიძის ინფორმაციით, სსიპ საჯარო რეესტრის სამისამართო დეპარტამენტმა კომისიას მომართა ინიციატივით და მოითხოვა ისნის რაიონში მდებარე აბუსერიძე ტბელის და ტბელ აბუსერიძის I შესახვევის სახელწოდებების დაზუსტება.

როგორც ცნობილია, 1992 წლის 19 ივნისის #89 ბრძანების თანახმად, ისნის რაიონში მდებარე მატროსოვის ქუჩას მიენიჭა აბუსერიძე ტბელის სახელი. სახელდების წესის თანახმად, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწესთან დაკავშირებული სახელდებისას, მათი გვარ-სახელები უნდა გადმოიცეს ტრადიციული, ისტორიულად ჩამოყალიბებული ფორმით. („ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილება, მუხლი7, მე-2 პუნქტი). ხსენებული ფორმულირება „აბუსერიძე ტბელის ქუჩა" არღვევს როგორც სახელდების წესით დადგენილ სტანდარტებს, ასევე ფორმულირებაში შეცდომითაა გადმოცემული მწიგნობრის გვარი. ნაცვლად აბუსერისძისა დატანილია აბუსერიძე.

ქუჩის ქალაქგეგმარებით გაგრძელებას წარმოადგენს ასევე სახალხოს III ჩიხი.

კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია გვარ-სახელთან დაკავშირებული ხარვეზის გასწორება.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მესამე საკითხი.

მომხრე - შვიდი

წინააღმდეგი - არცერთი

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ისნის რაიონში, აბუსერიძე ტბელის ქუჩას და სახალხოს III ჩიხს მიენიჭოს ტბელ აბუსერისძის ქუჩის სახელი.

4. **ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ჰოსპიტლის შესახვევისთვის ჰოსპიტლის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ**

მოისმინეს: ლევან აბაშიძემ კომისიის სხდომაზე ისნის რაიონში მდებარე ჰოსპიტლის შესახვევის სახელდების ისტორიაზე ისაუბრა. ჰოსპიტლის შესახვევი და ჰოპიტლის ქუჩა ქალაქის განვითარების გეგმაზე დატანილია 1876 წლიდან. სახელი დაკავშირებული იყო ტერიტორიაზე მდებარე სამხედრო ჰოსპიტალთან და ერთგვარ ტოპონიმურ სახელად ჩამოყალიბდა ქალაქის ურბანულ გარემოში. ქალაქის განაშნიანებისა და განვითარების პროცესმა ტერიტორიაზე მნიშვნელოვანი ურბანული და ქალაქგეგმარებითი სახეცვლილებები გამოიწვია. დროთა განმავლობაში გაქრა ჰოსპიტლის ქუჩა და ატიურ გეოგრაფიულ ობიექტად დღემდე შემორჩა ჰოსპიტლის შესახვევი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების შესაბამისად ჩიხების, გასასვლელების თუ შესახვევების სახელდება უნდა განხორციელდეს რომაული ციფრების და იმ ქუჩის სახელწოდების მითითებით, რომელსაც უერთდება ჩიხი, გასასვლელი თუ შესახვევი (მაგ., დიდგორის ქუჩის II ჩიხი). ქუჩის სახელწოდების შეცვლის შემთხვევაში, სახელი ეცვლება ქუჩაზე მიერთებულ ჩიხსაც, გასასვლელსაც და შესახვევსაც. აღნიშნულის გათვალისწინებით, ვინაიდან ჰოსპიტლის ქუჩა აღარ არსებობს და დამოუკიდებელ გეოგრაფიულ ობიექტად შემორჩენილია ჰოსპიტლის შესახვევი, კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი ქუჩად ჩამოყალიბება და ჰოსპიტლის ქუჩის სახელის მინიჭება.

კომისიის წევრებმა საკითხს დადებითი რეკომენდაცია გაუწიეს.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეოთხე საკითხი.

მომხრე - შვიდი

წინააღმდეგი - არცერთი

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ისნის რაიონში, ჰოსპიტლის შესახვევს მიენიჭოს ჰოსპიტლის ქუჩის სახელი.

5. **ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ე.წ. მუხიანი 2-ის დასახლებაში, ქედის ქუჩის გავრცელების არეალის დაზუსტების და ქედის ქუჩის მონაკვეთისთვის ხანძთის I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ**
6. **ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ე.წ. მუხიანი 2-ის დასახლებაში, საირმის II შესახვევის გავრცელების არეალის კორექტირების შესახებ**

მოისმინეს: ლევან აბაშიძის ინფორმაცია დღის წესრიგით წარმოდგენილ მე-5 და მე-6 საკითხებთან დაკავშირებით, რომელიც ე.წ. მუხიანი 2-ის დასახლებაში მდებარე ქედის ქუჩის გავრცელების არეალის დაზუსტებას და საირმის II შესახვევის გავრცელების არეალის კორექტირებას ეხება.

ტერიტორიის დათვალიერებით დგინდება, რომ ქედის ქუჩის და საირმის II შესახვევის მოხაზულობა კვეთს უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში საკუთრების უფლებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებს, ხოლო რელიეფი სახელდებული მონაკვეთების ნაწილზე შეუძლებელს ხდის საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობას, სახელდებული გზით კი მოსახლეობა არ სარგებლობს.

აღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია ქედის ქუჩის მონაკვეთს მიენიჭოს ხანძთის I ჩიხის სახელი, ხოლო ქედის ქუჩის დარჩენილ მონაკვეთზე გაუქმდეს სახელდება.

რაც შეეხება საირმის ქუჩის I შესახვევს, გავრცელების არეალი უნდა დაკორექტირდეს, შესახვევის სახელი უნდა გაუქმდეს იმ მონაკვეთზე, რომელიც კვეთს რეგისტრირებულ კერძო საკუთრებას.

აზრი გამოთქვეს: კომისიის სხდომას ესწრებოდნენ აკაკი ზერიძე და გიორგი ტაბატაძე. მათ მადლობა გადაუხადეს კომისიას. აკაკი ზერიძემ აღნიშნა, რომ სახელდება და შემდგომში ნუმერაცია ინდივიდუალური მისამართების განსაზღვრას უზრუნველყოფს, რაც მოსახლეობის მომსახურების შეფერხების აღმოფხვრისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია.

კომისიის წევრებმა დღის წესრიგით წარმოდგრნილ მე-5 და მე-6 საკითხებს დადებითი რეკომენდაცია გაუწიეს.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეოთხე საკითხი.

მომხრე - შვიდი

წინააღმდეგი - არცერთი

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: გლდანის რაიონში, ე.წ. მუხიანი 2-ის დასახლებაში, დაზუსტდეს ქედის ქუჩის გავრცელების არეალი და ქედის ქუჩის მონაკვეთს მიენიჭოს ხანძთის I ჩიხის სახელი.

გლდანის რაიონში, ე.წ. მუხიანი 2-ის დასახლებაში, დაკორექტირდეს საირმის II შესახვევის გავრცელების არეალი.

7. **ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, სოფელ გლდანში, 26 მაისის ქუჩასთან, თბილისის შემოსავლელ გზატკეცილზე არსებული ხიდის ქვედა დონეზე მდებარე უსახელო გასასვლელისთვის 26 მაისის I გასასვლელის სახელის მინიჭების შესახებ**

მოისმინეს: ლევან აბაშიძემ კომისიის სხდომაზე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სამისამართო დეპარტამენტის კიდევ ერთი ინიციატივის შესახებ ისაუბრა, რომელიც სოფელ გლდანში მდებარე ყოფილი ხიდის ქუჩის გასასვლელის სახელდებას ეხება.

კომისიაში დაცული მონაცემებით, 2011 წელს ხიდის სახელი მიენიჭა თბილისის სატრანზიტო გზის მონაკვეთს სოფ. გლდანის მიმდებარედ. აღნიშნული მონაკვეთი წარმოადგენს საერთაშორისო მნიშვნელობის გზის ნაწილს და მინიჭებული აქვს თბილისის შემოსასვლელი გზატკეცილის სახელი.

უსახელო გეოგრაფიული ობიექტი სოფ. გლდანში, 26 მაისის ქუჩასთან მდებარეობს და წარმოადგენს თბილისის გზატკეცილზე არსებული ხიდის ქვედა დონეზე მდებარე უსახელო გასასვლელს, რომელსაც კომისიის მხარდაჭერის შემთხვევაში 26 მაისის I გასასვლელის სახელი მიენიჭება.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეშვიდე საკითხი.

მომხრე - შვიდი

წინააღმდეგი - არცერთი

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: გლდანის რაიონში, სოფელ გლდანში, 26 მაისის ქუჩასთან, თბილისის შემოსავლელ გზატკეცილზე არსებულ ხიდის ქვედა დონეზე მდებარე უსახელო გასასვლელს მიენიჭოს 26 მაისის I გასასვლელის სახელი.

8. ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, რეზო გაბაშვილის ქუჩასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის რეზო გაბაშვილის I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს: ლევან აბაშიძის განცახდებით, სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია უწყვეტ კომუნიკაციაშია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სამისამართო დეპარტამენტთან. ასეთი ურთიერთთანამშრომლობის ფარგლებში დედაქალაქში განხორციელდა არაერთი ქუჩის სისტემური დამისამართების პროცესი.

გოჩა პატარაიას N M25016321 განცხადებით მოთხოვნილია უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სახელდება მუხიანის დასახლებაში (ს.კ.01.11.17.005.099).

კომისიის მიერ აღნიშნული საკადასტრო ერთეულით მოხდა ტერიტორიის შესწავლა. აღმოჩნდა, რომ უსახელო გეოგრაფიული ობიექტი მდებარეობს რეზო გაბაშვილის ქუჩასთან და ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით წარმოადგენს მის უსახელო ჩიხს. კომისიის გადაწყვეტილებით, უსახელო ჩიხს ძირითადი ქუჩის სახელი მიენიჭება.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მერვე საკითხი.

მომხრე - შვიდი

წინააღმდეგი - არცერთი

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: გლდანის რაიონში, რეზო გაბაშვილის ქუჩასთან არსებულ უსახელო ჩიხს მიენიჭოს რეზო გაბაშვილის I ჩიხის სახელი.

ლევან აბაშიძემ მადლობა გადაუხადა დაინტერესებულ პირებს საკითხების საჯარო განხილვაში აქტიური ჩართულობისთვის და კომისიის წევრებს ინიციატივებად დასარეგისტრირებელი საკითხები გააცნო

დღის წესრიგი:

1. ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ტაბახმელაში, გუმბათების წყაროს ქუჩის მონაკვეთისთვის და მასთან არსებული უსახელო ქუჩისთვის **გრიგოლ რობაქიძის** სახელის მინიჭების შესახებ.(გრძელდება გრიგოლ რობაქიძის ქუჩა)
2. ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის, ნაძალადევის და სამგორის რაიონებში, თბილისის ზღვის სანაპიროს უსახელო მონაკვეთებისთვის **ზოოპარკის სანაპიროს** სახელის მინიჭების შესახებ.
3. ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, კოჯორში, ნიკოლოზ ბარათაშვილის I შესახვევისთვის **ნიკოლოზ ბარათაშვილის I გასასვლელ**ის სახელის მინიჭების შესახებ.
4. ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, კოჯორში, ნიკოლოზ ბარათაშვილის ქუჩასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის **ნიკოლოზ ბარათაშვილის I შესახვევის** სახელის მინიჭების შესახებ.
5. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, **ბარბარე ყიფიანის** ქუჩის გაგრძელების შესახებ.
6. ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ლიბანის შესახვევისთვის, მიხაკო წერეთლის ქუჩის მონაკვეთისთვის, მასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და ჩიხებისთვის **მაყვალა მრევლიშვილის** სახელის მინიჭების შესახებ.(გრძელდება მაყვალა მრევლიშვილის ქუჩა)
7. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, **ვიქტორ კუპრაძის** ქუჩის გაგრძელების შესახებ.
8. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, საბარგოს ხევისთვის და ბანაკის დასახლების I ქუჩისთვის **საბარგოს ქუჩის** სახელის მინიჭების შესახებ.
9. ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, ფონიჭალაში, ცოტნე დადიანის I შესახვევისთვის, მასთან არსებული უსახელო ქუჩისოვის და ერთი ჩიხისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის **ვალერი ჩიქოვანის** სახელის მინიჭების შესახებ.
10. ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, მარნეულის გზატკეცილთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ორი უსახელო შესახვევისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის **კონსტანტინე ლეთოდიანის** სახელის მინიჭების შესახებ.
11. ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ვლადიმერ ჯანჯღავას III შესახვევისთვის, მასთან არსებული ერთი ჩიხისთვის და სამი

გასასვლელისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის **ომარ ფურცელაძის** სახელის მინიჭების შესახებ.

12. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, გუმათჰესის ქუჩის მონაკვეთისთვის აფხაზეთის ომში უგზო-უკვლოდ დაკარგული მებრძოლის **ზურაბ კვანტრიშვილის** სახელის მინიჭების შესახებ.
13. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, გუმათჰესის ქუჩის მონაკვეთისთვის **გუმათჰესის I ჩიხის** სახელის მინიჭების შესახებ.

კომისიის სხდომაზე თბილისის ზღვის სანაპიროს მონაკვეთებისთვის ზოოპარკის სანაპიროს სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით იმსჯელეს.

როგორც ცნობილია, მ. კოსტავას ქ. #64 მდებარე ზოოლოგიური პარკის გადატანა ხდება თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე (ს.კ.81.21.04.669). ხსენებულ ტერიტორიამდე მისასვლელი გზა არ არის სახელდებული. კომისიას კომუნიკაცია ქონდა ა(ა)იპ თბილისის ზოოპარკის დირექტორთან ზურაბ გურიელიძესთან. ერთობლივი შეთანხმების საფუძველზე კომისიას სურს ჩუღურეთის, ნაძალადევის და სამგორის რაიონებში, თბილისის ზღვის სანაპიროს ზემოხსენებულ უსახელო მონაკვეთებს ზოოპარკის სანაპიროს სახელი მიანიჭოს.

კოჯორში მდებარე ნიკოლოზ ბარათაშვილის I შესახვევი ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით ნიკოლოზ ბარათაშვილის I გასასვლელს წარმოადგენს, ხოლო უსახელო შესახვევი მდებარეობს უკვე სახელდებულ ნიკოლოზ ბარათაშვილის ქუჩასთან და მიზანშეწონილია მას ნიკოლოზ ბარათაშვილის I შესახვევის სახელი ეწოდოს.

ლევან აბაშიძის ინფორმაციით, გაგრძელდება გრიგოლ რობაქიძის ქუჩა მთაწმინდის რაიონში, ბარბარე ყიფიანის ქუჩა ვაკის რაიონში და ვიქტორ კუპრაძის ქუჩა სამგორის რაიონში. ასევე სამგორის რაიონში, გუმათჰესის ქუჩის მონაკვეთს გუმათჰესის I ჩიხის სახელი მიენიჭება.

როგორც ლევან აბაშიძემ აღნიშნა, ახლადწარმოქმნილმა გზამ გლდანის რაიონში ერთმანეთთან დააკავშირა ლიბანის შესახვევი და მაყვალა მრევლიშვილის ქუჩის მონაკვეთი და უსახელო ქუჩისთვის და ჩიხებისთვის მაყვალა მრევლიშვილის სახელის მინიჭების უპირატესობა გააჩინა. მისივე ინფორმაციით, სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი სამისამართო დეპარტამენტის უფროსის ნინო ბახიას წერილთან

დაკავშირებით, რომლითაც მოთხოვნილია ბანაკის დასახლების I ქუჩის და საბარგოს ხევის გეოგრაფიული მონაცემების და მიხაზულობის დაზუსტება.

ლევან აბაშიძის განცხადებით, აღნიშნული ტერიტორია საბარგოს დასახლებითაა ცნობილი. საკითხთან დაკავშირებით კონსულტაციები გაიმართა ისნის რაიონის მაჟორიტარ წევრთან, კახა ლაბუჩიძესთან, კომისიამ გაითვალისწინა მოსახლეობის სურვილი და საბარგოს ხევს და ბანაკის დასახლების I ქუჩას საბარგოს ქუჩის სახელი შეუნარჩუნდება, როგორც ტოპონიმური სახელწოდება.

კომისია გააგრძელებს დედაქალაქის ქუჩებისთვის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული მებრძოლების სახელების მინიჭების ტრადიციას. კომისიის გადაწყვეტილებით, ვალერი ჩიქოვანის, კონსტანტინე ლეთოდიანის, ომარ ფურცელაძის და ზურაბ კვანტრიშვილის სახელები მიანიჭება კრწანისის, გლდანის და სამგორის რაიონში მდებარე ქუჩებს, შესახვევებს, მონაკვეთებს და ჩიხებს.

კომისიის წევრებმა დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხები მოისმინეს, კომისიის თავმჯდომარესთან ერთად იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს საკითხების საკრებულოს წინაშე ინიციატივებად დარეგისტრირებას და კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარო განხილვისთვის გამოქვეყნებას.

ლევან აბაშიძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სახელდებისა და სიმბოლიკის

კომისიის თავმჯდომარე

ლევან აბაშიძე